

ქვეყნის ჩემპიონატები

●

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

●

ძიუდო

იხ. მე 2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ლელო

23 იანვარი, შაბათი, 1993 წ.
№ 4 (10792) ● ფასი 3 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კანონპროექტების შემუშავებას — საჯაროობა

საქართველოს პარლამენტის კომისიას

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის სახელზე კვლავ მოდის წერილები, სადაც ავტორები ითხოვენ სპორტისა და ტურიზმის საკითხებზე კანონპროექტების მომზადებისას გაითვალისწინონ მათი წინადადებები.

— ჯერ სამაჩაბლოსა და შემდეგ აფხაზეთში შექმნილმა საომარმა მოქმედებებმა დაადასტურა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ფიზიკურად კარგად არ არის მომზადებული, რაც ესოდენ აუცილებელი და მნიშვნელოვანია მეომრისთვის. წინადადებას გთავაზობთ, შეიმუშაოთ კანონპროექტი „წვევამდელი ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების შესახებ“ (ვ. ნებიერიძე, რუსთავი).

— ბევრი მყავს სპორტსმენებში ისეთი ნაცნობი, რომლებსაც სურთ გააფორმონ კონტრაქტი უცხოეთის კლუბებთან. მაგრამ ამას თურმე ახერხებენ მხოლოდ ერთეულები და ისიც დიდი წვალებით. ნუთუ არ შეიძლება, შეიქმნას კანონი, რომელიც მოაწესრიგებს ამ პრობლემას? (ნ. მგელაძე, თბილისი).

ჩემი აზრით, ცალკე უნდა შემუშავდეს კანონი „სპორტსმენთა სოციალური დაცვის შესახებ“. უკიდურეს შემთხვევაში, ეს საკითხი აუცილებლად უნდა შევიდეს „კანონში სპორტის შესახებ“ (მ. სანიკიძე, პენსიონერი, თბილისი).

ამ დღეებში

● **თბილისში** ინდუსტრიალიზაციის ქუჩას, დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ეწოდა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის სახელი. ამასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ადრინდელი გადაწყვეტილება ა. ღოღობერიძის სახელის ნაძალადევის რაიონში ბაბუშკინის ქუჩისათვის მინიჭების შესახებ.

● **აფხაზეთში** გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის ხსოვნის მინიფეხბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა „საძმომ“, რომელმაც ფინალში მოუგო „მედიკოსს“ — 8:7 (პენალტებით). ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 3:3. „საძმო“ ზაზას მეგობრებით იყო დაკომპლექტებული. მესამე ადგილისთვის „კრწანისმა“ მოუგო „ჩემპიონს“ (ჟურნალისტთა გუნდი) — 8:2.

● **გუდაურში** გაიხსნა ზამთრის სპორტული ასპარეზობების წლევანდელი სეზონი. გაიმართა შეჯიბრებები და გამოვლინდნენ რესპუბლიკის უძლიერესი მოთხილამურეები, რომლებიც თებერვალში მონაწილეობას მიიღებენ აოსტაში (იტალია) ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ასპარეზობებში.

საქართველო — ირანი

სპორტული ურთიერთობის პერსპექტივები

ორი მეზობელი ქვეყნის — საქართველოსა და ირანის ურთიერთობის ისტორიულ მოვლენად იქცა ჩვენი ქვეყნის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი ირანში ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. ვიზიტის დღეებში ორივე მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა მთელ პაკეტს, მათ შორის შეთანხმებას სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

— შეთანხმება, რომლის პროექტი ჩვენ წარვადგინეთ, უცვლელად და დიდი დაინტერესებით მიიღო ირანის მხარემ. ფაქტობრივად, იგი მოიცავს მრავალმხრივი თანამშრომლობის სპექტრს — თქვა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა, რომელიც შედიოდა ოფიციალურ დელეგაციაში.

● **კონკრეტულად ხომ არ გვეტყოდით, რა მთავარი საკითხები მოიცვა შეთანხმებამ?**

— ესაა თანამშრომლობა მეცნიერების დარგში, მწვრთნელთა და სხვა სპეციალისტთა გაცვლა, კონსულტაციები, გამოცდილების გაზიარება დელეგაციების მეშვეობით, კადრების მომზადება, სემინარებში მონაწილეობა, ჩავატარებთ ერთობლივ წვრთნას, ამხანაგურ და სამატჩო შეხვედრებს, მხარეები უზრუნველყოფენ ორივე ქვეყანაში საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში თავიანთი გუნდების მონაწილეობას.

● **დამალი არ არის, რომ ჩვენში პრობლემად იქცა სპორტული ბაზების ნორმალური ექსპლუატაცია, გვაკლია, ბევრ სპორტის სახეობაში კი საერთოდ არ გვაქვს სპორტული ფორმა და ინვენტარი. რა დახმარებას უნდა ველოდეთ ამ ქვეყნიდან?**

— ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება, რომელიც გაფორმდა, ცხადია, საერთო მდგომარეობის გამოსწორებაზე მოახდენს კეთილსასურველ გავლენას, თუნდაც ენერგომატარებლების მოწოდებაზე ხელშეკრულება რაოდენ მნიშვნელოვანია. სპორტულ ურთიერთობათა შეთანხმებაში კი შევიდა ერთი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სპორტულ ფორმაზე, მოწყობილობასა და ინვენტარზე მოთხოვნილების შესწავლას, გათვალისწინებულია აგრეთვე სპორტული საქონლის და ინვენტარის მწარმოებელი ერთობლივი საწარმოს შექმნის პერსპექტივა.

● **გავეცანით შეთანხმების სრულ ტექსტს და ჩვენი ყურადღება მიიპყრო საფინანსო ხარჯების საკითხმა — ხომ არ დაგვიკონკრეტებდით, რა იგულისხმება მორიგი სტრიქონების მიღმა?**

— შევთანხმდით, რომ სპორტული დელეგაციების მიმღები ქვეყანა გადაიხდის ჩასულთათვის სასტუმროს, სამედიცინო მომსახურების, ყველა სახის სატრანსპორტო ხარჯებს და ე. წ. ჯიბის ფულს. ქვეყანაში ჩასვლის სატრანსპორტო ხარჯებს კი მიმღები ქვეყნის დედაქალაქამდე და უკან გაიღებს გამგზავნი ქვეყანა.

● **დელეგაციის შინ დაბრუნების შემდეგ ტელეინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ პირველი მერცხლები ალბათ ფეხბურთელები იქნებიან, რომლებიც ირანში ჩავლენ...**

— ასე ვფიქრობთ, ამ აზრს საფუძველს უმაგრებს ის, რომ ქართველ და ირანელ ფეხბურთელებს ადრეც ჰქონდათ მეგობრული შეხვედრები, მაგალითად, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ თბილისის „დინამო“ ეწვია ირანს. მოგვიანებით კი ამ ქვეყნის ფეხბურთელები გვეწვივნენ თბილისში. ასე რომ, ურთიერთობებს აღვადგენთ და გავაღრმავებთ. რაღა თქმა უნდა, არც სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები დარჩებიან გულნაკლულნი.

რა ხდება ქვეყანაზე

● **ცურვის** საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, მსოფლიო თასის გათამაშების წლევანდელი ეტაპები ექვს ქალაქში გაიმართება, ესენია: შანხაი, პარიზი, მალმიო (შვეცია), გელზენკირხენი (გერმანია), შეფილდი, ჟენევა. განისაზღვრა საპრემიო თანხაც — 333 ათასი დოლარი. გადაწყდა, რომ ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულნი ჯილდოდ 5 ათას დოლარს მიიღებენ.

● **სპორტში** ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემიის (რომელიც ლეგენდარული ჯესი ოუენსის სახელს ატარებს) პირველი ლაურეატი გახდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ჯილდო ლაურეატს გადაეცა შარშან, პრემიის დაფუძნების წელს. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ პრემიას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მიანიჭებენ. ასე რომ, ახალ ლაურეატს 1994 წლისთვის უნდა ველოდოთ.

● **უსახსრობის** გამო პეკინში არსებული სადოპინგო ლაბორატორია ანალიზებს, ფაქტობრივად, არ ატარებს. ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელის, პროფესორ ტიან ლიანგას განცხადებით, შარშან ჩატარებული 610 ანალიზიდან 78-ის შედეგი საერთოდ არ გამოქვეყნებულა, დანარჩენებიდან კი დადებითი შედეგი აღმოაჩნდა მხოლოდ ხუთს, რაც ნაკლებად დასაჯერებელია.

● **საერთაშორისო** სპორტულ ფედერაციებს ხშირად და არც თუ უსაფუძვლოდ აკრიტიკებენ დოპინგკონტროლისადმი უყურადღებობისა და გულგრილობისთვის. ამ დროს მაგალითად მოჰყავთ ცურვის საერთაშორისო ფედერაცია, რომელსაც ოლიმპიური თამაშების წინ არც ერთი ქვეყნისთვის არ მოუთხოვია სადოპინგო შემოწმების შედეგები.

● **ბეგარას** ფულად პრემიებზე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად იხდიან. არის შემთხვევები, როცა ბეგარას იხდი ფულადი პრემიის მიღებისთანავე და შენს ქვეყანაში უკვე თავისუფალი ხარ გადასახადისგან. არსებობს ორმაგი დაბეგვრის პრაქტიკაც, როცა გადასახადს მიღების დროსაც იხდი და წლის ბოლოსაც, უკვე დამაჯამებელი სახით შენს ქვეყანაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბეგარა 30 პროცენტის ოდენობითაა განსაზღ-

რა ხდება ქვეყანაზე

ვრული, მაგრამ ზოგიერთი შტატი სპორტსმენს დამატებით გადასახადს ახდევინებს. ნიუ-იორკში ასეთი დამატებითი ბეგარა 10 პროცენტს აღწევს, კალიფორნიაში — 6 პროცენტს. ავსტრალიაში კი დაბეგვრის პროგრესული სისტემა მოქმედებს: 29-დან 59 პროცენტამდე.

● **„დოიჩე-შპორტჰილფეს“** (გერმანული სპორტის დახმარების) ფონდის ანგარიშზე სადღეისოდ 27 მილიონი მარკაა, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას. ამ ფონდის გაზრდის მიზნით პერიოდულად უშვებენ საფოსტო მარკებს, გრამფირფიტებს, წიგნებს, ფონდის ემბლემებს. გარდა ამისა, ფონდი ყოველ კვირას აწყობს ლოტოს. წელიწადში ერთხელ კი იმართება დიდი მეჯლისი, რომელიც კარგა დიდ შე-

რა ხდება ქვეყანაზე

მოსავალს (2 მილიონ მარკამდე) იძლევა.

● **შვედეთის** ცნობილი კომპანია „პრო კორდია გრუპი“, რომელიც უმთავრესად კვების პროდუქტებს ამზადებს, ლილეჰამერის 1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მერვე სპონსორი გახდა. თავის მონაწილეობას ამ ღონისძიებაში კომპანია 40 მილიონი ნორვეგიული კრონით (დაახლოებით 7,6 მილიონი დოლარით) აღნიშნავს. შესატანის რაოდენობით მეორე ადგილზეა ავიაკომპანია სას-ი, რომელმაც ორგანიზატორებს უკვე ჩაურიცხა 15 მილიონი კრონი.

საქართველოს თასზე

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის 1992-93 წლების გათამაშების მერვედფინალის კენჭისყრა. გუნდები ასე დაწყვილდნენ: „დინამო“ (თბილისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი), „ცხუმი“ (სოხუმი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „სამტრედია“ — „საპოვნელა“ (თერჯოლა), „ბათუმი“ — „დილა“ (გორი), „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „გურია“ (ლანჩხუთი), „ერწუხი“ (წნორი) — „დურუჯი“ (ყვარელი), „სიონი“ (ბოლნისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო), „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „შევარდენი-1906“ (თბილისი).

მატჩები გაიმართება 6 მარტს პირველად დასახელებულ გუნდების მოედანზე, საპასუხო — 10 მარტს.

ჰულოცავთ!

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია დაბადების 50 წლისთავს ულოცავს საერთაშორისო ტურისტული ცენტრის „ოქროს საწმისის“ დირექტორს **გურამ ჯერვალიძეს**.

შორტი—ტიმანი

ესკურიალში გრძელდება ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ჰოლანდიელ იან ტიმანისა და ინგლისელ ნაიჯელ შორტის ფინალური მატჩი. გათამაშდა კიდევ ხუთი პარტია, IV ტურში შორტმა ზედიზედ მეორე მოგება ჩაიწერა. V და VI კალენდარული დღეების შეხვედრებში მეტოქენი დაზავდნენ.

ოთხშაბათს, მეშვიდე ტურში ტიმანმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, შეძლო ინიციატივის დაუფლება და 32-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებოდა. გუშინწინ, მერვე ტურში, მეტოქეებმა დაზავება არჩიეს. ანგარიში ჯერჯერობით საყაიმოა — 4:4.

კასპაროვის წერილი ბარსელონის მერს

მსოფლიოს ჩემპიონმა გარი კასპაროვმა წერილით მიმართა ბარსელონის მერს, რათა ამ ქალაქმა იკისროს ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მისი მატჩის მასპინძლობა შორტ-ტიმანის დუელში გამარჯვებულთან. კასპაროვი ამ განცხადებით ერთგვარ აცილებას აძლევს ზაგრებს, ბერლინსა და ჯაკარტას, ქალაქებს, რომლებმაც ადრე გამოთქვეს მატჩის მასპინძლობის სურვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ნოზაძე

ჯამბულ ფუტკარაძე

ალექსანდრე ბოლქვაძე

დიმიტრი მულაძე

ხვიჩა შენგელია

გიორგი ადეიშვილი

გოჩა ციციაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — საქართველოს ჩემპიონატი

ვინც ღირსი იქნება...

დავით ქარსელაძე

ზაურ ივანაშვილი

დავით ინდელაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჩვენმა ოსტატებმა (თითო-ოროლას გამოკლებით) ისე გალიეს შარშანდელი სეზონი, საერთაშორისო შეხვედრები თითებზე ჩამოეთვლებათ. მიზეზებზე იმდენჯერ დაგვიწერია, გამეორება ნამდვილად ზედმეტია. ამიტომაც ბევრს აინტერესებს, რას გვპირდება ახალი წელი. ამ ბევრში უპირველესნი, ცხადია, მწვრთნელები და სპეციალისტები არიან. ალბათ ამიტომ იყო, რომ წლის დასაწყისშივე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სახეობაში, რომელშიც ერთხანს აღმასვლა დაიწყო, მაგრამ ქართული სპორტის საერთო შეჭირვების გამო ამ სახეობის მესვეურებსაც ბევრი საფიქრალი გაუჩნდათ. მართალია, შარშან კი გაწევრიანდნენ საერთაშორისო ფედერაციაში (ფილაში), მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდებმა იასპარეზეს ევროპის და მსოფლიო პირველობებზე, ასე რომ, ძალთა თანაფარდობის საერთო სურათი, მიახლოებით მაინც, გამოსაკვეთი იყო.

ფალავანთა დარბაზზე სასაყვედურო არავის ეთქმის, მაგრამ ისეთი დონის შეჯიბრებას, როგორიც საქართველოს ჩემპიონატია, იგი ვერ აკმაყოფილებს — თუნდაც იმიტომ, რომ დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევს, საჭიდაო ხალიჩის გარშემოც ისე მცირე ადგილია, აშკარად უხერხულობა ექმნებათ მონაწილეებსა და მსაჯებს. უეჭველია, ასეთი ასპარეზობა უფრო კეთილმოწყობილ დარბაზში უნდა ჩატარდეს, იქ, სადაც მაყურებელი უკეთ იგრძნობს თავს, სპორტსმენი კი სრულად გამოამჟღავნებს თავის შესაძლებლობას.

ამ ჩემპიონატში საუკეთესონი — გიორგი კოლუაშვილი, გელა პაპაშვილი და თენგიზ თედორაძე (ეს უკანასკნელი ტრავმის გამო) არ გამოსულან, მაგრამ ვინც თვალს ადევნებდა ასპარეზობას, დაგვეთანხმება — ტურნირმა საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა. ბევრს ეგონა, რომ ზაურ ივანაშვილი ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს, მაგრამ იგი კვლავ ვარჯიშობს და აკი შემატა კიდეც ინტერესი ბრძოლებს თავის წონით კატეგორიაში, ახალგაზრდებს ისიც დაუმტკიცა, რომ კვლავაც ლიდერია წონაში. აღსანიშნავია 90 კგ წონით კატეგორიაში კობა ჰიჭველიშვილისა და დავით ქარსელაძის შეხვედრაც, რომელშიც დ. ქარსელაძემ იმარჯვა. აღვნიშნავთ, აგრეთვე, თამაზ ყაზარაშვილისა და ჯამბულ ფუტკარაძის, მოსე ჰაკნელიძისა და ალექსანდრე ბოლქვაძის, სხვათა შეხვედრებს.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს **ბეგი დარჩიას**.

— ჩვენი უმთავრესი მიზანი 1996 წლის ოლიმპიური თამაშებია ატლანტაში, მანამდე კი... საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ვიასპარეზებთ თურქეთში, ბულგარეთში, ველოდებით მიწვევას შვეციიდან. მაისში სტამბული მასპინძლობს ევროპის ჩემპიონატს და სწორედ ამ ტურნირებში უნდა გამოიკვეთოს ნაკრების ის ძირითადი ბირთვი, თურქეთში რომ გამოვა. ნაკრების დაკომპლექტებისას საერთაშორისო შეხვედრების შედეგების გათვალისწინება აუცილებელია — შეიძლება მავანი სპორტსმენი გახდეს საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ საერთაშორისო ტურნირზე სასურველ შედეგს ვერ მიაღწიოს. შეგვიძლია სრული გუნდი, ათი მოჭიდავე წავიყვანოთ ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ვითვალისწინებთ დღევანდელ საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, იმას, რომ ყველას გვიჭირს და ამიტომ შევარჩევთ მათ, ვინც უკეთ იქნება მომზადებული და ვისაც შეეძლება რეალურად იბრძოლოს მედლებისთვის.

რაც შეეხება გუნდს, გეტყვით, რომ იგი მალე გადახალისდება. ისეთი გამოცდილი სპორტსმენების გვერდით, როგორიც გახლავთ ზაურ ივანაშვილი და რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ ევროპის ჩემპიონატზე, გამოჩნდნენ ახალგაზრდებიც: შალვა იმხანაშვილი, ჯამბულ ფუტკარაძე, გოჩა ციციაშვილი, გუნდშია აგრეთვე ევროპის შარშანდელი ახალგაზრდული პირველობის პრიზიორი მოსე ჰაკნელიძე, რომელმაც ამ ჩემპიონატზეც ბრწყინვალედ იასპარეზა.

გელა პაპაშვილი მოსკოვში იყო და იქ ვარჯიშობდა, შვეციის საერთაშორისო ტურნირზეც წარმატებით იასპარეზა, ახლახან ტელეფონით ვესაუბრე და მითხრა, მალე ჩამოვალ და გუნდს შევუერთდებიო. ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობაში გამარჯვებული გიორგი სალდაძე უკრაინის სახელით გამოდის, რაც შეეხება გიორგი კოლუაშვილს, იგი მოსკოვშია და მისი საკითხი გაურკვეველია. თუ კი მოისურვებენ და დაბრუნდებიან, მათთვის საქართველოს ნაკრების კარი მუდამ ღიაა.

ახალგაზრდული ნაკრები თებერვალში გაემგზავრება ისრაელში დიდ საერთაშორისო ტურნირზე, შემდეგ კი ეტაპობრივად მოემზადება მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც ზაფხულშია დაგეგმილი. მინდა მადლობა გადავუხადო ფირმა „ჯესის", რომელმაც ახალგაზრდულ გუნდს 1.700.000 მანეთი გადმოურიცხა, როგორც ხედავთ, წლეულს საკმაოდ დაძაბული და საინტერესო სეზონი გვექნება.

მეცენატობა ჩვენში იშვიათობა აღარ გახლავთ და ამ ჩემპიონატსაც გამოუჩნდნენ სპონსორები — ქარხანა „აგრეგატის" გენერალურმა დირექტორმა, ყოფილმა მოჭიდავემ თამაზ მაჭავარიანმა გამარჯვებულები დაასაჩუქრა საოჯახო ნივთებით, ფირმა „ფალავანი-21"-მა (დირექტორი ზაზა ტყავაძე) დააწესა ფულადი პრიზები, ხოლო ბორჯომის რომან რურუას სახელობის ჭიდაობის კლუბმა და ბორჯომის მრავალდარგობრივმა ფირმამ „ოქროს საწმისმა" (დირექტორი ბონდო კაპანაძე) 62 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ბორჯომელ დიმიტრი მულაძეს 30000 მანეთი გადასცეს.

სამწუხაროა, როდესაც კარგ ღონისძიებას მავანის არასპორტული, უფრო ზუსტად, ხულიგნური საქციელი აყენებს ჩრდილს. გია ივანიშვილი დამარცხდა, ჩაიცვა და... მსაჯს მივარდა საცემრად! ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ცხადია, სპორტსმენი დაისჯება, მაგრამ ჭიდაობის ფედერაციამ უნდა გაამკაცროს სასჯელი, რათა მსგავსმა ფაქტებმა კვლავაც არ შელახონ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატები.

გია ბურდული

213 კვალდაკვალ

48 კგ. 1. მერაბ ნოზაძე, 3. მალხაზ ნოზაძე (ორივე — რუსთავი)

52: 1. ჯამბულ ფუტკარაძე (ბათუმი), 2. თამაზ ყაზარაშვილი (საგარეჯო), 3. გაიოზ გუდაძე (წყალტუბო).

57: 1. ალექსანდრე ბოლქვაძე, 2. მოსე ჰაკნელიძე (ორივე — ოზურგეთი), 3. გოჩა ბოცვაძე (სამტრედია).

62: 1. დიმიტრი მულაძე (ბორჯომი), 2. აკაკი ჩაჩუა (სამტრედია), 3. შალვა იმხანაშვილი (თბილისი).

68: 1. ხვიჩა შენგელია (ლანჩხუთი), 2. ელდარ ფუხაევი (თბილისი), 3. გელა ჭოლაძე (ქუთაისი).

74: 1. გიორგი ადეიშვილი (სამტრედია), 2. გელა ჯერანაშვილი, 3. ხვიჩა ბიჩინაშვილი (ორივე — გარდაბანი).

82: 1. გოჩა ციციაშვილი (თბილისი), 2. ოლეგ ქვაჩაკიძე, 3. ივანე ტყეშელაშვილი (ორივე — ქუთაისი).

90: 1. დავით ქარსელაძე, 2. ზაზა სილაგაძე (ორივე — თბილისი), 3. კობა ჰიჭველიშვილი (სამტრედია).

100: 1. ზაურ ივანაშვილი (გარდაბანი), 2. ზურაბ გოგია (სენაკი), 3. ხვიჩა მეფარიშვილი (ჩოხატაური).

მძიმე: 1. დავით ენდელაძე (ქუთაისი), 2. ხვიჩა ქორიძე (ჩოხატაური), 3. შოთა გელაშვილი (რუსთავი).

შენიშვნა: 48 კგ. წონით კატეგორიაში თბილისელი გიორგი ივანიშვილი არასპორტული საქციელისთვის მოიხსნა ასპარეზობიდან და შედეგიც გაუქმდა.

• • •

ამ შეჯიბრების პარალელურად მოეწყო საქართველოს ძიუდოისტთა ჩემპიონატიც. მასალას ამ ტურნირის შესახებ, შემოგთავაზებთ „ლელოს" მომდევნო ნომერში.

კარს რა დაგვაკეტინებს...

სპორტულ ბაზებს ჩვენში ამჟამად რომ დღე ადგათ, მტრისას. ფინანსური სიდუხჭირით წელგაწყვეტილები, ვის აღარ შეპლალადებენ შემწეობას, მაგრამ ახლა ყოველნაირად სხვა ვითარებაა და დახმარება არსაიდან მოდის. ბევრი სპორტული ბაზა საერთოდ გამოკეტილია, თუ სადმე კარი ღიაა, მეტწილად გასაცოდავებულად მეცადინეობენ თვით რესპუბლიკის ნაკრები გუნდებიც კი. გათბობა და ცხელი წყალი ხომ სანატრელი გამხდარა. ახლა ყველა უბედურებას სპორტული ბაზების ძარცვაც დაემატა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბევრი რამ თვით სპორტული ბაზების ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული. დიახ, ხელმძღვანელებზე, მათ უნარზე, საქმის ცოდნაზე, გამოსავლის გზების ძიებაზე, თუნდაც დროებით, „გამოდარებამდე", თანამშრომელთა შენარჩუნებაზე, მათ სოციალურ დაცვაზე..., თბილისის სპორტის სასახლეში ამ პრობლემებს თავად აგვარებენ. „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრება გაერთიანება „სპორტის სასახლის" გენერალური დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ ლომიძე.

სურათზე: თენგიზ ლომიძე (მარცხნივ) და „დაუმარცხებელი" გუნდის — მსახიობთა ნაკრების — ყველაზე „სახიფათო" თავდამსხმელი კახი კავსაძე.

კონსტანტინე შანიძის ფოტო.

● **მოხდა ისე, რომ ახალი წლის პირველ ინტერვიუს სწორედ თქვენგან ვიღებ. გამოგიტყდებით, თქვენთან საუბარი მუდამ სასიამოვნოა, ვინაიდან შეკითხვებზე, როგორც წესი, ჩამოყალიბებულ, გამართულ პასუხს იძლევით...**

— თქვენ სიტყვებს საახალწლო კომპლიმენტად ვიღებ, დიდ მადლობას გიხდით.

● **ნუ გაიკვირვებთ, დღეს თქვენთან სასაუბროდ „რევიზორული" მისიით მოვედი. თქვენზე ლეგენდები დადის, ორგანიზაცია წელში გამართა და სხვებსაც ეხმარებაო. ღმერთმა ბევრი მოგცეთ. როგორ ახერხებთ ამ საყოველთაო სიდუხჭირის პერიოდში თანამშრომლებიც მაღალ ეკონომიკურ ანაზღაურებაზე გყავდეთ და სხვებსაც ეხმარებოდეთ დროდადრო?**

— თქვენ იცით, რომ სამიოდე წლის წინათ თვითდაფინანსებაზე გადავედით. სახელმწიფო ბიუჯეტს მოვაცილეთ სპორტის სასახლის რჩენის ტვირთი, გავაანალიზეთ ჩვენი შესაძლებლობანი, შევადგინეთ ეკონომიკური გეგმა, როგორ გვერჩინა თავი, გავწვდენოდით იმ საოცრად გაზრდილ სამეურნეო გადასახადებსაც (წყალი, ელექტროენერგია, გათბობა, დასუფთავება...) და შტატების შემცირების გარეშე დაგვეკმაყოფილებინა თანამშრომლები გაზრდილი ხელფასებით. კმაყოფილებით გაუწყებთ, რომ შენარჩუნებულია თანამშრომელთა ის ბირთვი, რომელიც ამ სამი წლის წინ იყო. იმთავითვე გულდასმით შევისწავლეთ სასახლის ყველა კუთხე-კუნჭული და გამოუყენებელი სათავსოები გავეცით იჯარით სხვადასხვა ორგანიზაციებზე, ცხადია, გარკვეული საფასურით.

● **რა თქმა უნდა, მარტო ამით არ შემოიფარგლებოდით...**

— სასახლეში მოქმედებს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი გივი სიხარულიძის ხელმძღვანელობით. ანსამბლთან ჩამოვაყალიბეთ ბავშვთა სამწლიანი ფასიანი სტუდია, რომელიც 600 წევრს აერთიანებს. ამით ერთდროულად ორი საქმე გაკეთდა: ერთი რომ, 600 ახალგაზრდა მოვწყვიტეთ ქუჩას და უსაქმურობას, მეორეც, ვზრდით ნიჭიერ ხელოვანთ. საუკეთესონი (ალბათ, დაახლოებით 80-მდე) სტუდიასთან არსებულ მოზარდთა ახალ ანსამბლში ჩაირიცხებიან (გაზაფხულზე შერჩევით კონკურსს ჩავატარებთ), დანარჩენები კი სხვა ანსამბლებსა და კოლექტივებს შეავსებენ.

● **ალბათ, სასახლეში საახალწლო ნაძვის ხემაც საკმაო შემოსავალი მოგიტანათ.**

— ამ სეზონში ჩვენ პირველად ვთქვით უარი პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ დახმარებაზე და თვითონ მოვაწყვეთ საახალწლო ზეიმი. ვფიქრობ, ახალი სანახაობა ადრინდელებს სჯობდა (სპექტაკლები დღეში ორჯერ იმართებოდა — 25 დეკემბრიდან 5 იანვრამდე), თუმცა, სამწუხაროდ, ამჯერად იგი საჩუქრების გარეშე ჩატარდა.

[illegible]

წაუგებლად...

როგორც ადრე გაუწყეთ, 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით დაამთავრა ასპარეზობა ოსტატმა გია ბაღათურიამ — მან ისე ჩაატარა თბილისის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, პარტია არ წაუგია, მხოლოდ სამ მეტოქეს (სერგო მოვსესიანს, გივი გოგიჩაიშვილს და კახა შალამბერიძეს) დაუზავდა, დანარჩენ ექვსს — ილია წვერიანაშვილს, ნიკა ხეჩიკაშვილს, პაატა ვაშაკიძეს, არტემ თეიმურაზიანს, ალექსანდრე ლაზარაშვილს, სანდრო დგებუაძეს კი სძლია და მთავარი პრიზის გარდა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის საგზური.

შეჯიბრება, რომელშიც 83 მონაწილე (მათ შორის 13 ქალი) ჩაება, იმდენად დაძაბული იყო, რომ საბოლოოდ ჩემპიონს ოთხი მეტოქე ჩამორჩა 0,5-0,5 ქულით — II-V ადგილები გაიყვეს: მოვსესიანმა, დგებუაძემ, შალამბერიძემ და სოფიკო ნიკოლაძემ.

ჭადრაკის სასახლეში ახლა ქალთა ხიქალაქო ჩემპიონატი გრძელდება. იგი 20 იანვარს გაიხსნა.

ამ შეჯიბრებამ (შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად) თავი მოუყარა 27 მონაწილეს. პირველ ტურში პირველი მოგებები ჩაიწერეს: სოფიკო ნიკოლაძემ, მაია ლომინეიშვილმა, ეკა ჯავახიშვილმა, ალა ჩაიკოვსკაიამ, მარიამ თანდაშვილმა, ხათუნა კობალაძემ, ბელა კოსოიანმა, ნინო მელაძემ, მარინე ლებანიძემ და მარიამ გრიგალაშვილმა.

◆

საუკეთესონი...

შარშანდელი შედეგების მიხედვით საქართველოს კრივის ფედერაციამ დაასახელა რესპუბლიკის ხუთი საუკეთესო სპორტსმენი, ამდენივე მწვრთნელი და სამი მსაჯი.

მოკრივეთა ხუთეული ასე გამოიყურება: რამაზ ფალიანი (57 კგ), თენგიზ მესხაძე (67), გიორგი კანდელაკი (91), პაატა გვასალია (60), კობა გოგოლაძე (57).

მწვრთნელები: ალექსანდრე ჯაფარიძე (მესტია), კუკური შავგულიძე (ქუთაისი), სერგო ბერძენიშვილი (თბილისი), სოზარ კულუა (ფოთი), ავთანდილ შოშიაშვილი (გორი).

არბიტრები: ანდრო ნავასარდოვი, ვახტანგ ყველიაშვილი, ერასტი ერისთავი (ყველა — თბილისი).

◆

სწორედ ის ცზიუ

კორეული წარმოშობის 23 წლის მოკრივემ კონსტანტინ ცზიუმ, რომელიც ყაზახეთის ქალაქ სეროვში დაიბადა და კარგა ხანს ტოლს არავის უდებდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, პროფესიონალის სტატუსი მიიღო და დასახლდა ავსტრალიაში. ცზიუმ პროფესიულ რინგზე 6 შეხვედრა გამართა და ყველა მოიგო, მათგან 5 ნოკაუტით. სულ მალე იგი კრივის მსოფლიო ასოციაციის (უბა) ეგიდით მორიგ მატჩს გამართავს პუერტო-რიკოში.

◆

კალათბურთი ● ევროპის ჩემპიონთა თასი

კიევი. გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი მატჩი (ქალთა შორის) ადგილობრივი „დინამოსა" და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის — სლოვაკეთის „რუჟემბეროკის" მონაწილეობით. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 75:72 (36:26). ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: დინამოელთაგან — ქირკო (22 ქულა), სტუმართაგან — გაბროვა (16)

ვიქტორ კორჩნოი

ბოროტმოქმედის ჩანაწერები

აკრძალულია!

რაც უფრო მეტ საჭადრაკო წარმატებებს ვაღწევდი, უფრო აშკარად ვგრძნობდი, რომ ხელს მიშლიდნენ მონაწილეობა მიმეღო საერთაშორისო შეჯიბრებებში. განსაკუთრებით გაძნელდა ჩემი მდგომარეობა 1963-65 წლებში, თუმცა საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ვიყავი უკვე.

აი ერთი, შედარებით პრიმიტიული ისტორია: 1963 წელს კალიფორნიაში საერთაშორისო ტურნირი მოეწყო, ე. წ. პიატიგორსკის თასი. იქ მე და კერესი მიგვიწვიეს. საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის სხდომაზე პეტროსიანმა, რომელიც [illegible] იყო მსოფლიო ჩემპიონი გახდა, განაცხადა, რომ თვითონ უნდოდა თამაში. ორგანიზატორებს სათანადო შეკითხვა გაუგზავნეს, პასუხად სამი ბილეთი გამოაგზავნეს: ჩემთვის, კერესისთვის და პეტროსიანისთვის. და მაინც, მე არ გამიშვეს — ჩემი ბილეთით აშშ-ში პეტროსიანის ცოლი გაემგზავრა. ეს დეტალები ბატონ პიატიგორსკის ქვრივთან საუბარში 14 წლის შემდეგ შევიტყვე.

ამაზე უფრო დახლართული შემთხვევებიც იყო — ფედერაცია შეჯიბრებაზე გვგზავნიდა, მაგრამ პარტიული ორგანოები საამისო ნებას არ რთავდნენ.

ეს ასე ხდებოდა: ჯერ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაცია ან მისი პასუხისმგებელი მუშაკი (ე. ი. სპორტკომიტეტის თანამშრომელი: ჯერ ლ. აბრამოვი, მ. ბეილინი, 70-იანი წლებიდან ვ. ბატურინსკი, 80-იან წლებში ნ. კროგიუსი) ამათუ იმ მოჭადრაკეს რეკომენდაციას უწევდნენ რომელიმე შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ მოჭადრაკის სპორტული საზოგადოების პარტიული ორგანიზაცია შეისწავლიდა მის ანკეტას, მიიწვევდა გასაუბრებაზე, იმის მიუხედავად, იყო თუ არა პარტიის წევრი და, როგორც წესი, ნებართვას აძლევდა. დოკუმენტებს გადააგზავნიდნენ პარტიის რაიკომში, სადაც მათ კომისია განიხილავდა, ზოგჯერ თვით მოჭადრაკის მონაწილეობით. ამის მერე დოკუმენტებს მოსკოვში აგზავნიდნენ, საკავშირო სპორტკომიტეტის პირველ (საიდუმლო) განყოფილებასა და საკ.კპ.ცკ-ს კომისიაში.

ყოველმხრივ სრული საიდუმლოება იყო დაცული, ვერაფრით გაიგებდი, ვინ მოგცა აცილება. ამასთან, საკმარისი იყო რომელიმე მარია ივანოვნას ან რონა იაკოვლევნას (პეტროსიანის მეუღლე — რედ.) ცკ-ს კომისიის წევრის, რომელიმე პიოტრ ივანოვიჩის ტელეფონის ნომერი აეკრიფა, რომელთანაც, ვთქვათ, მეხანძრის ღლისადმი მიძღვნილ წვეულებაზე ექეიფა და ეთქვა: „შემოიარე ჩვენთან, ჩემმა ქმარმა ამერიკიდან საჩუქარი ჩამოგიტანა. დიახ, კინაღამ დამავიწყდა, ერთი ებრაელია ასეთი, კორჩნოი, საზღვარგარეთ წასვლა უნდა. იცი რა, კურსაალზე ყოფნისას კაზინოს ეწვეოდა ხოლმე. და საერთოდ, ჩვენ მისი სიფათი არ მოგვწონს. აცილება მიეცი, გეთაყვა..." ამის შემდეგ შენ უკვე აღარაფერი გიშველიდა. დაიწყებდი ხელმძღვანელთა კარების ატალახებას, ისინი კი, უკვე გაცნობილნი შენი პირადი საქმის ასლს, ჭკვიანი ადამიანის გამომეტყველებით გეტყოდნენ: „აი, თქვენ 1961 წელს გფრ-ში ქალიშვილი კინოში დაპატიჟეთ, მომდევნო წელს კაზინოში ითამაშეთ, 1963 წელს იუგოსლავიაში დათვერით კიდეც. როგორღა გაგაგზავნოთ ყოველივე ამის შემდეგ საზღვარგარეთ?" შენ შეგეძლო აგეხსნა, რომ კინოში საერთოდ არ წასულხარ, კაზინოში იმიტომ შეხვედი, რომ პარტია წააგე, იუგოსლავიაში არ დამთვრალხარ, რომ უბრალოდ ხმები გაგივრცელეს, მაგრამ ამ საუბარს უკვე აღარა ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა, რადგან უკვე მიიღოთ გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრება აღარ შეიძლებოდა.

მახსოვს, იმ მიზნით, რომ გამეგო, რატომ არ მაძლევდნენ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვას, ლენინგრადის ოქტომბრის რაიკომის მლივანს დავუყარაულდი. როგორ მემალებოდა, როგორ გამირბოდა! კარგი გარეგნობის ქალია ამხანაგი მიროშნიკოვა და კარგადაც დარჩის. ამბობენ: გარდაქმნასთან დაკავშირებით მაღალი თანამდებობა მიიღოო...

ბოლოს, 1965 წელს მოთმინების ფიალა ამევსო. გადავწყვიტე პარტიაში შევსულიყავი, ეს ჩემი მდგომარეობის შემსუბუქების უკანასკნელი შესაძლებლობა იყო. თავდაპირველად ამან მიშველა კიდეც, ამასთან, ჩემი პოლიტიკური თვითშეგნება სხვა მხრივაც ვითარდებოდა. ამაში დიდი როლი 1963 წელს კუბაზე გამგზავრებამაც ითამაშა.

ერთხელ, გვიან ღამით, მე და ტალს, რომელთანაც წლების განმავლობაში ვმეგობრობდი, ვახშმობა და ცოტაოდენი დალევაც მოგვინდა. საელჩოს მრჩეველ სიმონოვთან ერთად მოვნახეთ ამავე ქუჩაზე მდებარე ბარი. მისმა პატრონმა, რომ გვემსახურებოდა, გვკითხა, ვინ ვიყავით. **„ნოსტროს სომოს ესპეციალისტოს ჩეხოსლოვაკოს"** — უპასუხა სიმონოვმა ყველას მაგივრად. „რატომ?" — შევეკითხეთ მას. მან მრავალმნიშვნელოვნად დახედა საათს და თქვა: „ახლა ღამის სამი საათია. არ დაგავიწყდეთ — საბჭოთა მოქალაქეები ყველაფერზე აგებენ პასუხს!"

ამ ტირადამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. სიმონოვის გაფრთხილება ძალიან მალე გაგვახსენდა. თუმცა ჯერ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

როცა მეორედ მოვხვდი ესპანურენოვან ქვეყანაში, ამ ენის სწავლაში გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე. ჩემს ამხანაგებს გელერსა და ტალს, ამ ტურნირში თარჯიმნადაც კი გამოვადექი. ერთხელ სასტუმროს ვესტიბიულში ახალგაზრდა მიმზიდველი ქალი შემხვდა. ვიცანი — იგი ტურნირზეც დადიოდა ხოლმე.

— მსურდა, დღეს საღამოს ტალს შევხვედროდი — მითხრა მან.

— ეს შეუძლებელია, იგი სიმონოვს უნდა შეხვდეს.

— ო, მე ვიცნობ სიმონოვს. უთხარით, რომ საღამოს ტალთან მინდა შეხვედრა და პრობლემა გადაწყვეტილი იქნება!

— არა, თუკი თქვენ ტალი შეგხვდებათ, ამაზე საელჩოში არაფერი უნდა იცოდნენ.

— რატომ? მე და ჩემი მეგობარი ქალი კომუნისტები ვართ, თქვენ გიჭერთ მხარს.

ამაზე უკვე მე გამიჭირდა პასუხის გაცემა. მართლაცდა, რატომ?

— საბჭოთა მოქალაქეებს მოქცევის საკუთარი წესები აქვთ. მათ არ შეუძლიათ საზღვარგარეთ...

— დიახ, მაგრამ სპასკი, რომელიც შარშან იყო აქ, გოგოებს ხვდებოდა... სწორედ ამიტომ, წელს აღარ არის აქ.

— რას ჰგავს ეს, — აღშფოთებით წამოიძახა — განა სიყვარული აკრძალულია?!

ეს „პროჰიბიდო ამარ!" აქამდე ჩამესმის...

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი ესაუბრება ვიქტორ კორჩნოისა და მის მეუღლეს პეტრა ლეეუერიკს; უკანა პლანზე — ბენტ ლარსენი.

1965 წელი. მესამედ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, იუგოსლავიაში დიდ ტურნირზე მიმიწვიეს. მაგრამ ჩვენი ფედერაციისთვის ისეთი ფაქტი, როგორიც პერსონალური მიწვევაა, არაფერს ნიშნავდა. ამიტომ მან გადაწყვიტა უნგრეთში ერთ პატარა ტურნირზე გავეგზავნე. მე გავჯიუტდი. კომიტეტში გამომიძახეს. უნდა წარვმდგარიყავი ამხ. კაზანსკის წინაშე, რომელიც ჭადრაკის კურატორი იყო. „ხომ გესმით, — მითხრა მან, — ბუდაპეშტში ჩვენი ტანკები შევიდნენ (1956 წელს). თქვენ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, გევალებათ, ხატოვნად რომ ვთქვათ, თქვენი სხეულით დაფაროთ ის ნაპრალი, მათ რომ გააჩინეს". მართლაც, ხატოვნად არის ნათქვამი, მაგრამ მე მაინც გადაჭრით განვაცხადე უარი გამგზავრებაზე. აღარც ზაგრებში გავუგზავნივართ.

იმავე 1965 წელს პირველად (და უკანასკნელად) მომცეს წინადადება დასავლეთში დავრჩენილიყავი. ჰამბურგში ევროპის გუნდური ჩემპიონატის შემდეგ ბევრი მოჭადრაკე მიიწვიეს ერთდროული თამაშის სეანსების ჩასატარებლად. მე და გელერი ჩრდილოეთ გერმანიაში, პატარა საკურორტო ქალაქში გავემგზავრეთ. დაგვხვდა ორგანიზატორი და დასასვენებლად სახლში წაგვიყვანა. ამ კაცს რადიოს მეშვეობით შეესწავლა რუსული ენა. სამივენი რუსულად ვლაპარაკობდით, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ეკონომისტი დერიბასოვსკაიადან (ქუჩაა ოდესაში) ენების მაინცდამაინც დიდი მცოდნე არაა, „ინგლისურზე გადავიდა და იქვე პირდაპირ, გელერის თანდასწრებით შემომთავაზა გერმანიაში დარჩენა. ამასთან, დახმარებასაც დამპირდა ცხოვრების მოწყობაში. მე ვუპასუხე, რომ მოჭადრაკეები საბჭოთა კავშირში მეტად პრივილეგირებული ხალხია და თავაზიანი უარი ვუთხარი.

ახლა ძალიან ვნანობ. ნორმალური ცხოვრების 11 წელი დავკარგე, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

1965 წელი. ჰავანის ოლიმპიადა. ჩვენ კუბის რესპუბლიკის მთავრობის სტუმრები ვართ. [illegible] დიქტატორების [illegible] სიტყვა „რესპუბლიკა", სტალინი, პინოჩეტი, კასტრო, სადამ ჰუსეინი — „რესპუბლიკელების" რა მშვენიერი თაიგულია, არა?!

მე და ტალი ერთ ოთახში ვცხოვრობთ. როცა მოსაღამოვდა, გამხიარულება მოგვინდა. კარებთან ფეხსაცმელები დავტოვეთ მწმენდავებისთვის კი არა, მეთვალყურეებისათვის, რათა მშვიდად ყოფილიყვნენ და წავედით სასტუმროდან. ღამის ორ საათზე ნაცნობ კუბელთან და მის მეგობარ ქალთან ერთად ბარში შევედით. სიბნელეა, მუსიკის ხმა ისმის, ორიოდე ოფიციანტი გზას პატარა ნათურებით იკვლევს. ბაკარდის ვუკვეთავთ და ნელნელა ვსვამთ. მე და ტალი მხოლოდ ინგლისურად ვლაპარაკობდით. შემდეგ ჩვენთან მყოფი ქალი მივიწვიე საცეკვაოდ. მერე იმავე ქალთან ტალმა იცეკვა.

უცბად დარტყმის ხმა და ტალის ისტერიული კივილი გაისმა. თითქოს დენი დამარტყესო: ტალს რაღაც შეემთხვა! პირველად ასეთმა აზრმა გამიელვა: „მას მოხვდა, ახლა ჩემი რიგია". შუქი რომ აანთეს, გასისხლიანებული ტალი იატაკზე ეგდო. დარბაზის შუაგულში წითელსარტყელიანი კაცი გამოვიდა. მან გვიბრძანა: „ფეხი არავინ მოიცვალოს, ეს ორი კი (მე და ტალი) ჩემთან წამოვა." მან რევოლუციის სახელით პირველივე მანქანა გააჩერა და საავადმყოფოსკენ გაგვაქანა. დიახ, ტალს შუბლში ბოთლი ჩაარტყეს. საშინელი ძალის დარტყმა იყო — კოკა-კოლას სქელი ბოთლი დაიმსხვრა. საბედნიეროდ, წარბმა „აიტანა", არც თვალი დაშავებია და საფეთქელიც გადარჩა.

სანამ საავადმყოფოში ტალს ჭრილობაზე ნაკერებს ადებდნენ, მე იარაღიანი კაცი მდარაჯობდა, რათა არავინ დამსხმოდა თავს ანდა არ გავქცეულიყავი. დილის 6 საათზე მოვიდა გუნდის თარჯიმანი, რომელიც ამავე დროს კასტროს პირადი რუსული ენის თარჯიმანიც იყო და ჩვენ სასტუმროსკენ გავეშურეთ. ორიოდე საათის შემდეგ გუნდის საგანგებო კრება მოიწვიეს. ტალს თავისი მიეზღო, სამაგიეროდ, ახლა მე მაგინებდნენ და მთათხავდნენ — იმისთვის, რომ გადამწყვეტი შეხვედრების წინ გუნდი დავასუსტე (საღამოს მონაკოს გუნდს ვხვდებოდით).

დღის ბოლოს ჩვენთან ოთახში კუბის სპორტის მინისტრი შემოვიდა და ბოდიში მოგვიხადა, გვაცნობა, რომ ბარში 6 კაცი დააპატიმრეს, ერთმა მათგანმა აღიარა, რომ ტალს ეჭვიანობის გამო გაარტყა. ასე რომ არ ყოფილა?! მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ 6 კი არა, ბარში მყოფი 43-ვე კაცი დაუჭერიათ! დამრტყმელს რომ ეთქვა, პოლიტიკური მოსაზრებები მამოძრავებდაო — მეორე დღეს მარტო მას კი არა, მთელ მის ოჯახს აართქლებდნენ.

სამი დღის შემდეგ ტალი ისე გამოჯანმრთელდა, თამაში შეძლო. იგი ფიზიკურად ჯერ კიდევ სუსტად იყო, იძულებული იყო, შავი სათვალეები ეტარებინა, მაგრამ ამის მიუხედავად ბრწყინვალედ ითამაშა და ოლიმპიადაზე ყველაზე უკეთეს შედეგსაც მიაღწია.

ეს ღამე ჩვენთვის არასოდეს უპატიებიათ — არც ჩემთვის, არც ტალისთვის. მალე მას საერთოდ აუკრძალეს საზღვარგარეთ წასვლა, განსაკუთრებით 70-იანი წლების დამდეგიდან, როცა ერთ-ერთ საიდუმლო ინსტრუქციას „დაექვემდებარა" „მესამეჯერ დაქორწინებული" საგანგებოდ უნდა შეემოწმებინათ. ერთი სიტყვით, ძალზე ცუდ დღეში აღმოჩნდა, თავისი აქტიური საჭადრაკო ცხოვრება, რომ გაეგრძელებინა, სული გაჰყიდა — კარპოვს მსახურად დაუდგა. ამით ჩვენს მეგობრობას ბოლო მოეღო.

მოამზადა ბიძი ბამრეკელმა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 9.

ინფორმაცია

● **ბლეკპული.** კანადის ამ საკურორტო ქალაქში გაიმართა ფრისტაილში მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. ასპარეზობის მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სათხილამურო აკრობატიკაში. ტურნირის [illegible] მიიწივენ ადგილობრივმა [illegible] კასასიმ, რომელმაც დამაჯერებლად გაიმარჯვა, ჩამოიტოვა ისეთი [illegible] ფავორიტები, როგორებიც არიან ფრანგი სებასტიან ფოკრა და ამერიკელი ტრეის ურინგტონი. მათ, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები ერგოთ. ქალებში უძლიერესი ამერიკელი კრისტინ პორტერი იყო. მომდევნო ადგილებზე ნორვეგიელი ჰილდი ლიდი და კანადელი კაროლინ ოლივიე გავიდნენ.

● **ჰელსინკი.** ევროპის ჩემპიონის წოდება ფიგურულ ციგურაობაში ქალთა შორის ფრანგმა სიურია ბონალიმ მოიპოვა. მიმომხილველებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ახალგაზრდა უკრაინელი სპორტსმენის ოქსანა ბაიულის გამოსვლა, რომელსაც ვერცხლის ჯილდო ხვდა. მესამე შედეგი გერმანელ მარინა კილმანს აღმოაჩნდა.

● **ლოზანა.** როგორც შვეიცარიის ამ ქალაქში გამოცხადდა, ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობენ საკონტინენტო პირველობებში გამარჯვებული ქვეყნები. ამ დღეებში გაირკვა რეგიონალური ტურნირების მონაწილეთა შემადგენლობა. ევროპაში გაერთიანდა 21 გუნდი, მათ შორის: აზერბაიჯანი, ბელარუსი, ლატვია, რუსეთი, უკრაინა, აგრეთვე, ხორვატია, სლოვენია, სლოვაკეთი, ჩეხეთი. აზიის ჯგუფში იასპარეზებენ: ყაზახეთი, ავსტრალია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ირანი, იაპონია, ტაილანდი, ტაივანი. აფრიკის ჩემპიონატში ჩარიცხულია შვიდი გუნდი — ალჟირი, ბოტსვანა, კამერუნი, ეგვიპტე, ნიგერია, ტუნისი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. სამხრეთ ამერიკის ჯგუფში — არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, პერუ, ვენესუელა. ჩრდილოეთ ამერიკის ჯგუფში — კანადა, კუბა, აშშ. ორი ფინალისტის ვინაობა წინასწარაა ცნობილი: ჩემპიონატის მასპინძელი — საბერძნეთი და ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონი — იტალია.

● **ესენი.** გერმანიის ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატს 26 ქულით (40-დან) ლიდერობს „ვალაუ-მასენჰაიმი". მას ერთი ქულით ჩამორჩება „ჰამელნა".

● **სიდნეი.** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 575 ათასი დოლარი) ამერიკელმა პიტ სამპრასმა მოიგო, რომელმაც ფინალში ავსტრიელ თომას მუსტერს აჯობა. ნახევარფინალში სამპრასმა ამოს მანსდორფი (ისრაელი) დაამარცხა, მუსტერმა კი იტალიელი ომარ კამპორეზე.

ეროვნული

ქარს რა დაგვაკეტინებს...

(დასასრული)

● მავანთაგან გვსმენია, რა დროს მხიარულება და ნაძვის ხეა...

— ვერა და ვერ გავიზიარებ ამ აზრს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მძიმე ვითარებაა, მიმაჩნია, რომ ბავშვს მაინც არ უნდა მოვუშალოთ ბავშვობა. ბოლოსდაბოლოს, მას არავისთვის არაფერი დაუშავებია ჩვენი ვალია ვაჩუქოთ სიხარული პატარებს, ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე დაიმახსოვრებენ ნაძვის ხესთან გატარებულ წუთებს. აქ კიდევ ერთხელ მინდა მოვუხადო ბოდიში ბავშვებს, უსაჩუქრებოდ რომ გავისტუმრეთ სასახლიდან, მაგრამ, ვაი, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. სანახაობაზე უფასოდ დავპატიჟეთ ლტოლვილი და უდედმამო ბავშვები.

ერთი სიტყვით, სათავსოების იჯარით, სტუდიით, ნაძვის ხით, კონცერტებით, სპორტული ასპარეზობებით შესაძლებელი გახდა გაგვეზარდა სასახლის ყველა, 150-ვე თანამშრომლის ხელფასი, რომელმაც საშუალოდ 2500 მანეთს მიაღწია. მაგრამ ეს ზღვარი არაა. უახლოეს პერიოდში განზრახული გვაქვს კიდევ გავზარდოთ თანამშრომელთა შემოსავალი, კვლავ მოვამარაგოთ ისინი პერიოდულად ესოდენ საჭირო პროდუქტებით — პურის ფქვილით, კარტოფილით, შაქრით, ყველით და სხვა.

● ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ სასახლეს არამცდაარამც არ ჩამოჰკიდებთ კლიტეს. მას შემდეგ ცხოვრება კიდევ უფრო გაჭირდა, სპორტიც, ბუნებრივია, დიდი პრობლემების წინაშე დგას. ხომ არ შეიცვალეთ აზრი?

— სასახლის კარის დახურვა ღალატი იქნებოდა. მართალია, გვიჭირს, მაგრამ ღონისძიებების გარკვეულ რაოდენობას მაინც „ვუყრით თავს", მათ შორის რასაკვირველია, სპორტულსაც. ტრადიციისამებრ, სასახლის ღონისძიებათა დაგეგმვას კვარტალით ადრე ვიწყებთ. უკვე თითქმის გამოიკვეთა პირველი სამი თვის კალენდარი. თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ: ახალი წლის პირველი დღეები, მოგეხსენებათ, ნაძვის ხეს დაეთმო, ამას მოჰყვა ბავშვთა ანსამბლ „ბასტი-ბუბუს" კონცერტები. ამის შემდეგ ჩვენი სარბიელი დაეთმო „ქადაგებას" — ქრისტიანული სარწმუნოების დღეებს, რომლის დროსაც ყველა მსურველს შეეძლო შემოსვლა სასახლეში და სულიერად დასვენება. ჩვენთან გაიმართება სილამაზის სამდღიანი კონკურსი, მერე კი ყოველივეს სპორტი შეენაცვლება — 29 იანვრიდან 2 თებერვლამდე ვატარებთ თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც ძიუდოისტთა საერთაშორისო შეჯიბრება შეცვლის.

● კალათბურთი?

— ამ სახეობის წარმომადგენლები ახლა ვერის პარკის კალათბურთის სასახლეში ასპარეზობენ, რომელიც, მოგეხსენებათ, კალათბურთის თავისებურ მექად ითვლებოდა იმთავითვე. მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ თითქმის ნებისმიერ დროს ვუმასპინძლოთ თბილისელთა ამ საყვარელ სპორტის სახეობას, რომელიც, სიტყვამ მოიტანა, დღეს აღმავლობის გზას დაადგა და, მჯერა, მეტოქეთა ფარებს კვლავ შეუტევენ ახალი ქორქიები და ჯორჯიკიები, საკანდელიძეები და მინაშვილები...

● ჩვენი საყვარელი ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას ხსოვნის ტურნირი უნდა ჩატარებულიყო დეკემბერში...

— იგი გადაიდო მაისისთვის — დაიწყება 12 მაისს — თბილისის „დინამოს" მიერ ევროპის თასის მოპოვების დღეს. მოტივები აქაც ცნობილია — საზღვარგარეთის გუნდებმა უარი თქვეს თბილისში ჩამოსვლაზე. ერთი გუნდისგან, თუ არ ვცდები, მოწვევაზე ასეთი პასუხი მოვიდა: „თქვენთან ომია და რა დროს ფეხბურთია!" რა დასამალია, დასავლეთი და საერთოდ მთელი მსოფლიო ინფორმაციას საქართველოს შესახებ ყოფილი „საკავშირო" წყაროებით იღებს, ისინი კი, მოგეხსენებათ, ტენდენციურნი არიან საქართველოს მიმართ. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ, მიუხედავად საქართველოს სპორტკომიტეტის, პირადად მისი ხელმძღვანელის, ბატონ კახი ასათიანის ენერგიული ცდისა, უცხოეთის გუნდების ჩამოსვლის დასტური თბილისში ვერ მივიღეთ, არადა, თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე უნდა გამოსულიყვნენ ბასკები, იტალიელები, ავსტრიელები, თურქები, გერმანელები (ქართველ გულშემატკივართათვის კარგად ცნობილი იენის „კარლ-ცეისის" კლუბი). ვფიქრობ, მაისში მათ მაინც ვიხილავთ თბილისში ამ უდავოდ საინტერესო სანახაობაზე.

● ერთი სიტყვით, თბილისის სპორტის სასახლის კარებს ჩარაზვა არ ემუქრება?

— ღმერთმა არ მომასწროს ამ დღეს. ჩვენ კვლავაც გავაკეთებთ ყველაფერს, რათა თბილისელებსა და საქართველოს დედაქალაქის სტუმრებს შეძლებისდაგვარად მოვუტანოთ სიხარული და სულიერი კმაყოფილება.

ესაუბრა ოთარ წოზაძე.

მაქსიმე გვარლიანი

ქართველ ვეტერან მთამსვლელთა რიგებს გამოაკლდა სახელოვანი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მაქსიმე დავითის ძე გვარლიანი.

მაქსიმე გვარლიანის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული 30-50 წლების ქართული ალპინიზმის მიღწევები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1937 წელს ცენტრალური კავკასიონის მწვერვალების სამხრეთი უშბის დაპყრობა სრულიად ახალი გზით — აღმოსავლეთის კონტრფორსით.

1950 წელს მაქსიმე გვარლიანი გამოჩენილი მთამსვლელის კაკო მარის [illegible], თავის მეგობრებთან ერთად, ახორციელებს სარეკორდო შხელდა-უშბის ტრავერსს.

1952 წელს იგი კვლავ ცენტრალური კავკასიონის მწვერვალების — შხარა-რუსთაველი-კატინი-თეთნულდის ტრავერსში მონაწილეობს. ეს ჯგუფი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ქართულ მთამსვლელობაში ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი დიდი გარდატეხის ჟამი იყო, რომელშიც მაქსიმე გვარლიანმა დიდი წვლილი შეიტანა. ჩვენმა ალპინისტებმა დაიწყეს სახიფათო ასვლები პამირის მთიანეთში და რამდენიმე წელს საკავშირო სარბიელზე პირველობასაც ინარჩუნებდნენ, რაშიც დიდია მ. გვარლიანის დამსახურება. კერძოდ, ჯგუფმა მისი ხელმძღვანელობით დაიპყრო ენგელსის (6.500 მ) მწვერვალი ძნელად გასავლელი კლდოვანი კედლით.

1955 წელი მაქსიმე გვარლიანის სპორტულ ბიოგრაფიაში განსაკუთრებული გახლავთ. იგი პამირში, უმაღლესი მწვერვალის — კომუნიზმის პიკის რაიონში ხელმძღვანელობდა 6852 მ. სიმაღლის მწვერვალის როსიის დაპყრობას, შემდეგ კი სათვალთვალო ჯგუფის თავკაცობით დიდად შეუწყო ხელი ი. კახიანის, მ. ხერგიანის, ჯ. მეძმარიაშვილისა და ლ. ახვლედიანის მიერ კომუნიზმის პიკის (7.495 მ) დალაშქვრას.

მაქსიმე გვარლიანს სხვა სვან მთამსვლელებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ომის წლებში კავკასიონის დაცვაში. მან მრავალი ახალგაზრდა აზიარა მთამსვლელობას.

მაქსიმე გვარლიანის სახელი საპატიო ადგილს დაიკავებს ქართული მთამსვლელობის ისტორიაში.

საქართველოს სპორტის კომიტეტი.
ალიოშა ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბი.
საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტში

შეიქმნა ალპინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მაქსიმე გვარლიანის დამკრძალავი კომისია შემდეგი შედგენილობით: ჯანსულ ბაგრატიონი (თავმჯდომარე), თენგიზ გაჩეჩილაძე, რევაზ აიწურაძე, გიორგი ქართველიშვილი, დავით შარაშენიძე, გია საჯაია, ოთარ დიდებულიძე, ლადო გურჩიანი, შოთა ჩართოლანი.

მაქსიმე გვარლიანის ოჯახს გამოეყო ერთდროული დახმარება 10.000 მანეთი.

ფეხბურთი

ინფორმაცია

● **მოსკოვის** გუნდები „სპარტაკი" და „ლოკომოტივი" მონაწილეობდნენ ჰამბურგსა და სინგაპურში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებში. სპარტაკელებმა ფრედ ითამაშეს ჰოლანდიის „გრონინგენთან" — 2:2, მაგრამ დამატებითი 11-მეტრიანებით მარცხი იწვნიეს — 6:7. საინტერესოა, რომ „გრონინგენი" ჰოლანდიის ჩემპიონატში ამჟამად მე-12 ადგილზეა და 10 ქულით ჩამორჩება ლიდერს, როტერდამის „ფეიენოორდს".

ფინალს ვერ მიაღწიეს ლოკომოტიველებმაც, რომლებმაც „აივა მერლიონის" თასის გათამაშებაში მარცხი იწვნიეს ჩინეთის ნაკრებთან შეხვედრაში — 1:3.

მალხაზ ამილახვარი



რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 52 წლისა გარდაიცვალა ჩინებული სპეციალისტი მალხაზ ამილახვარი, კაცი, რომელიც დიდი ერუდიციითა და სიკეთით გამოირჩეოდა. მან მთელი თავისი სიცოცხლე ცურვას მიუძღვნა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების მერე მალხაზმა სამსახური დაიწყო „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში ცურვის მწვრთნელად, სადაც არაერთი სპორტის ოსტატი და საერთაშორისო ასპარეზობების პრიზიორები აღზარდა.

1969 წელს იგი „დინამოს" ცურვის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დაინიშნა, სამი წლის მერე კი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ცურვის სკოლის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი გახდა.

მ. ამილახვრის შემდგომი საქმიანობა საქართველოს სპორტკომიტეტთან იყო დაკავშირებული — თითქმის 6 წელი იმუშავა ცურვის სახელმწიფო მწვრთნელის თანამდებობაზე, 1981 წლიდან კი სათავეში ჩაუყენეს „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ცურვის სპორტულ სკოლას, რომელმაც მისი მზრუნველობით სერიოზულ წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკაში და მას ფარგლებს გარეთაც.

ბოლო ორ წელზე მეტ ხანს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, მ. ამილახვარი საქართველოს საწყლოსნო სახეობების კონფედერაციის ცურვის წამყვან სპეციალისტად მუშაობდა. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მრავალრიცხოვანი მოსწავლეების, კოლეგების, მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის საწყლოსნო სახეობების კონფედერაცია

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი სპორტული ინკვიზიტორი

ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური კომიტეტი დღემდე შოკშია იმ სკანდალის გამო, რომელიც მოხდა მისი პრეზიდენტის ბობ ჰელმიკის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით და რომელსაც პრეზიდენტის სამარცხვინო გადადგომა მოჰყვა. მსგავსი რამ რომ არ განმეორდეს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან შეიქმნა ეთიკური ზედამხედველობის კომისია უილიამ როჯერსის ხელმძღვანელობით.

ამერიკის „მთავარი სპორტული ინკვიზიტორი" საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა პოლიტიკაში. 1969-73 წლებში მას სახელმწიფო მდივნის პოსტი ეკავა, იყო აგრეთვე იუსტიციის მინისტრი და სხვა პასუხსაგებ უწყებების შეფი. როჯერსს ჰყავს ორი, ასევე ცნობილი მოადგილე, რომლებიც წარსულში სამხედრო პირები იყვნენ, ახლა კი სპორტის მოღვაწენი არიან — დონ პორტერი (სოფტბოლის სამოყვარულო ასოციაციის ღამასრულებელი დირექტორი) და შილა ოდოუგერტი (ორგანიზაციის პრეზიდენტი).

რას უნდა მიაქციოს ყურადღება „მთავარმა სპორტულმა ინკვიზიტორმა" ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, კომიტეტის ბიუჯეტს, რომელიც სისტემატურად იზრდება და რომელმაც ამჟამად 301 მილიონ დოლარს მიაღწია. ეს ვეებერთელა თანხა გროვდება სპონსორთა, კერძო პირთა შემოწირულობებით, აგრეთვე, სატელევიზიო გადაცემებიდან.

„როჯერსის უწყების" კონტროლს დაექვემდებარება ოლიმპიელთა ფინანსური უზრუნველყოფის საკითხიც. როგორც ცნობილია, ბოლო ოთხი წლის მანძილზე ამ მიზნისთვის გამოყოფილმა თანხამ 2,3 მილიონი დოლარიდან 26 მილიონს მიაღწია. შარშან აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა სტიპენდიები გასცა 1300 სპორტსმენზე: თვიურად ისინი იღებენ 2500-დან 12500 დოლარამდე.

„ეფესი" ცხრილის თავში მოექცა

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის თასის მორიგი მატჩები „ა" ნახევარფინალურ ჯგუფში. ესპანეთის „სარაგოსამ" შინ დაამარცხა მოსკოვის ცსკა — 86:73. ამ უკანასკნელმა, ტურნირი რომ დიდი იმედებით და გეგმებით დაიწყო, საპრიზო ადგილზე გასვლის ყველა შანსი დაკარგა.

ამავე ჯგუფში კიდევ ორი მატჩი შედგა: თელ-ავივის „ჰაპოელი" შინ ლიუბლიანის „ოლიმპიასთან" დამარცხდა 89:92, სტამბულის „ეფესმა" კი საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო რიგის „ბროცენის" 89:72.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ეფესი"	7	6	1	13
„სარაგოსა"	7	6	1	13
„ოლიმპია"	7	5	2	12
„ჰაპოელი"	7	2	5	9
„ბროცენი"	7	2	5	9
ცსკა	7	1	6	8

„ბ" ჯგუფში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა: ლიდერმა — სალონიკის „არისმა" სტუმრად აჯობა შოლეს „პინჩს" — 70:60. ბერძენ კალათბურთელებს 7 მატჩის შემდეგ 13 ქულა აქვთ.

„სპორტლოტო"

მესამე ტირაჟები

„6 45": 2. 6. 15. 20. 34. 42.
„5 36": 13. 15. 22. 23. 35.
„6 56": 3. 6. 9. 22. 28. 29. 42.

მეორე ტირაჟების შედეგები

„6 45":
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 20.206 მანეთი;
4 ნომერი — 785 მანეთი;

„5 36":
5 ნომერი — 117.674 მანეთი;
4 ნომერი — 1. 689 მანეთი;
3 ნომერი — 110 მანეთი.

კრწანისის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექცია, საფეხბურთო პროფესიულ კლუბ „კავკასიონი — 92"-ის თანამშრომლები და მოსწავლე-ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა მწვრთნელ-მასწავლებელი, „თეთრი არწივის" დივიზიის მებრძოლი

გია ფისიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კრივის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს გარი და ზურაბ გუნიებს

სერგო გარის ძე გუნიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის საწყლოსნო სახეობათა კონფედერაციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე კონფედერაციის წამყვანი სპეციალისტი ცურვაში

მალხაზ ამილახვარი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ჟურნალისტ პირიმზე გვარლიანს მამის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ცნობილი მთამსვლელის

მაქსიმე გვარლიანის

გარდაცვალების გამო.

განათლების სამინისტროს მოსწავლე მთამსვლელთა სპორტული სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

მაქსიმე გვარლიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, პ. კოსტავას, 14. ☎ ტელ: 93-36-47, 99-84-21. ინდექსი 66425 INDEX ■ დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.